

შპს „მეტრა ფროფერტის (Metra Properties),„

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია -----	6
ანგარიშგების მომზადების საფუძვლები -----	6
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები-----	11

შპს "მეტრა ფროფერტის (Metra Properties)"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	<u>6</u>	2,980	1,972
მარაგები	<u>4</u>	28,182	131,166
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	12,817
გაცემული სესხები	<u>5</u>	4,089,954	6,398,609
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,121,115	6,544,564
სულ აქტივები		4,121,115	6,544,564
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	1,209,649
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4,100,633	5,175,026
სულ კაპიტალი		4,100,833	6,384,675
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	<u>7</u>	3,177	2,901
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	<u>8</u>	5,488	156,988
საგადასახადო ვალდებულებები		11,617	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		20,282	159,889
სულ ვალდებულებები		20,282	159,889
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,121,115	6,544,564

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი:

შპს "მეტრა ფროფერტის (Metra Properties)"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2018
ამონაგები	<u>9</u>	207,465
თვითღირებულება	<u>10</u>	(156,489)
საერთო მოგება		50,976
სხვა შემოსავლები		1,144
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>11</u>	(107,648)
სხვა ხარჯები	<u>12</u>	(25)
საოპერაციო მოგება		(55,554)
ფინანსური შემოსავალი	<u>13</u>	578,989
ფინანსური ხარჯი	<u>14</u>	(275)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		142,323
მოგება დაბეგვრამდე		665,483
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება/(ზარალი)		665,483
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		665,483

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი:

შპს "მეტრა ფროფერტის(Metra Properties)"

**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)**

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	1,209,649	2,904,643	4,114,292
წმინდა მოგება	-	665,483	665,483
გაცემული დივიდენდი	-	(1,739,876)	(1,739,876)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(1,209,449)	-	(1,209,449)
2018 წლის 31 დეკემბერი	200	1,830,250	1,830,450

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი:

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მეტრა ფროფერტის (Metra Properties)“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2014 წლის 7 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო კოდი: 405029231. მარეგისტრირებული ორგანო არის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, კომპანიის იურიდიული მისამართი:

საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ზაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით, სახლი N15, ბინა N1;

კომპანიის დამფუძნებელი არის დავით ჩოჩია (პ.ნ. 01017015520) – 100% წილი, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვიქტორ გელოვანი (პ.ნ. 72 7579281, 65002010931) – 100% წილი.

კომპანიის დირექტორი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის: არჩილ გელოვანი (პ.ნ. 65002010932).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მრავალსახლიანი საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობა(დეველოპერული მომსახურება) და რეალიზაცია.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

ტერმინების განმარტებები:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კოტირებულ ფასზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებითი დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ, როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპრიცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები მოიცავს სალაროში არსებულ ნაღდ ფულს და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონება

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში გაყიდვის, და არა იჯარით გაცემის ან სამომავლო განვითარების მიზნით, შეძენილი ან აშენებული ქონება აღირიცხება, როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგები და ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თვითღირებულებაში შედის:

- კონტრაქტორისთვის მშენებლობისთვის გადასახდელი თანხები;
- მშენებლობის ზედნადები ხარჯი და სხვა შესაბამისი დანახარჯები. მოგებაში ან ზარალში აღიარებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება გასვლის მომენტისთვის განისაზღვრება, როგორც გაყიდულ ქონებაზე გაწეული კონკრეტული დანახარჯების ჯამი და გაყიდული ქონების ფარდობითი ზომის მიხედვით მასზე განაწილებული არაკონკრეტული დანახარჯები.

ვალდებულებები

კომპანიის ვალდებულებები ძირითადად წარმოიშობა სამეურნეო ოპერაციების და მოვლენების შედეგად. მოკლევადიან ვალდებულებად აღიარდება ისეთი ვალდებულება, რომლის დაფარვაც უნდა მოხდეს ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში, ხოლო გრძელვადიან ვალდებულებად აღიარდება ვალდებულება, რომლის დაფარვაც უნდა მოხდეს ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში.

უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაფასება ხდება საბალანსო უწყისის შედგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გაცვლით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშში როგორც საკურსო ცვლილებით გამოწვეული წმინდა მოგება ან ზარალი.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებას კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვლილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ) ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლის მიერ. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულებები იმ პერიოდისათვის, რომელშიც გამოცხადდა.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდესაც, კერძოდ ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი გახდა 0% იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდათ განაწილებული მოგება.

ასევე მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი გადახდები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (საჩუქარი, გადახდები რომლებიც არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). აღნიშნული ცვლილების გამო დროებით სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში აღარ წარმოიქმნება.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოძინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავალი

მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების გაყიდვის ხელშეკრულებები ითვლება საქონლის გაყიდვის ხელშეკრულებებად, ამიტომ სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- საწარმომ მყიდველს გადასცა საქონელთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- შემოსავლის ოდენობის სათანადო სიზუსტით შეფასება შესაძლებელია;
- შესაძლებელია, რომ საწარმომ მიიღოს გარიგებასთან დაკავშირებული ეკონომიკურ სარგებელს; და
- გარიგებასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი დანახარჯების სათანადო სიზუსტით შეფასება შესაძლებელია;

კომპანიაში გაყიდვები ხორციელდება მშენებლობამდე და მშენებლობის პროცესშიც. როგორც წესი, მყიდველი აფორმებს ყიდვის ხელშეკრულებას დეველოპერთან გარკვეული ერთეულის შეძენაზე მისი მშენებლობის დასრულებისთანავე. გარკვეულ შემთხვევებში, მყიდველისთვის მარაგებად კლასიფიცირებულ უძრავ ქონებაზე იურიდიული საკუთრების გადაცემის დასრულებამდე შესაბამისი პირობები უნდა დაკმაყოფილდეს.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2,5922	3,1044

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე.
- **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გამოფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები.

4. მარაგები

მარაგები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2018	31/12/2017
მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონება	28,182	108,120
სხვა მარაგები	-	23,046
	28,182	131,166

5. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2018	31/12/2017
<u>გაცემული სესხები</u>		
შპს "მეტრა დეველოპმენტი"	2,082,010	5,049,919
<u>მისაღები პროცენტები</u>		
შპს "მეტრა დეველოპმენტი"	2,007,944	1,348,690
	4,089,954	6,398,609

6. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2018	31/12/2017
ფული სალაროში	23	-
ფული საბანკო ანგარიშებზე	2,957	1,972
	2,980	1,972

7. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2018	31/12/2017
<i>მიღებული სესხები</i>		
ფ/პ დავით ჩოჩია	1,836	1,836
<i>გადასახდელი პროცენტები</i>		
ფ/პ დავით ჩოჩია	1,341	1,065
	3,177	2,901

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2018	31/12/2017
სავაჭრო ვალდებულებები	5,488	50,666
მარაგებად კლასიფიცირებულ უძრავი ქონებიდან მიღებული აგნსი	-	97,822
გადასახდელი ხელფასები	-	8,500
	5,488	156,988

9. ამონაგები

ამონაგები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2018
მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების რეალიზაცია	184,492
სხვა მარაგების რეალიზაცია	22,973
	207,465

10. თვითღირებულება

თვითღირებულება 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2018
მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების	
თვითღირებულება	133,562
სხვა მარაგის თვითღირებულება	22,928
	156,489

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2018
შრომის ანაზღაურება	104,125
სანოტარო მომსახურების ხარჯი	-
ჩაუთვლელი დღგ-ს ხარჯი	1,076
ბანკის მომსახურება	506
იჯარის ხარჯი	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	1,941
	107,648

12. სხვა ხარჯი

სხვა ხარჯები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2018
მოგების გადასახადის ხარჯი -კანონმდებლობის თანახმად	-
ქონების გადასახადი	25
	25

13. ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი 2018 წლის მდგომარეობით
წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2018
დაკავშირებული მხარის სესხის პროცენტი	578,758
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	232
	578,989

14. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი 2018 წლის მდგომარეობით
წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2018
დაკავშირებული მხარის სესხის პროცენტი	275
	275

15. სესხები

ლარში	მოკლევადიანი	
	31/12/2018	31/12/2017
დაკავშირებული მხარეების სესხები	3,177	2,901
სულ სესხები	3,177	2,901

მოკლევადიანი სესხების დაფარვის ვადაა 2019 წლის 31 დეკემბერი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 15%.

16. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში შემდეგი კატეგორიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებებია წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებით:

ფინანსური აქტივები:

ლარში	31/12/2018	31/12/2017
გაცემული სესხი დაკავშირებულ მხარეზე	4,089,954	6,398,609
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	2,980	1,972
	4,092,934	6,400,581

ფინანსური ვალდებულებები:

ლარში	31/12/2018	31/12/2017
მიღებული სესხი დაკავშირებული პირისგან	3,177	2,901
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	5,488	156,988
	8,665	159,889

ფინანსური რისკი მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების გამო.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტთან სესხებთან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო. კომპანიას არ აქვს რისკი, რომ საპროცენტო განაკვეთი გაიზარდოს, რადგან ყველა მიღებულ სესხზე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი აქვს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. ანგარიშის წარგდენის თაირილისათვის ასეთი რისკია კომპანიაში არ არსებობს.

17. ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ოპერაციები

ხელმძღვანელმა მიიღო შემდეგი ოდენობის ანაზღაურება, რომელიც ჩართულია გადახდილ ხელფასში.

ლარში	31/12/2018	31/12/2017
ხელფასები	104,125	37,565
	104,125	37,565

18. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:

ლარში	31/12/2018	31/12/2017
მიღებული სესხის დაფარვა	-	(72,839)
გაცემული სესხის დაფარვა	3,029,664	185,131
გადასახდელი პროცენტი	(275)	(1,746)
მისაღები პროცენტი	578,758	773,416
მომსახურების მიღება	(10,607)	(80,208)
რეალიზაცია	27,109	-

19. პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წელს კომპანიამ შეიძინა მიწის ნაკვეთი ღირებულებით 2,741,983 ლარი.

შპს "მეტრა ფროფერტის(Metra Properties)"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	2,980	1,972
მარაგები	4	28,182	131,166
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	12,817
გაცემული სესხები	5	4,089,954	6,398,609
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,121,115	6,544,564
სულ აქტივები		4,121,115	6,544,564
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	1,209,649
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4,100,633	5,175,026
სულ კაპიტალი		4,100,833	6,384,675
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	7	3,177	2,901
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	5,488	156,988
საგადასახადო ვალდებულებები		11,617	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		20,282	159,889
სულ ვალდებულებები		20,282	159,889
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,121,115	6,544,564

დირექტორის უფლებამოსილი წარმომადგენელი:

/ლიანა მოდებაძე/



მთ.ბუღალტერი

/ელენე უშვანი/



შპს "მეტრა ფროფერტის(Metra Properties)"


მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2018
ამონაგები	<u>9</u>	207,465
თვითღირებულება	<u>10</u>	(156,489)
საერთო მოგება		50,976
სხვა შემოსავლები		1,144
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>11</u>	(107,648)
სხვა ხარჯები	<u>12</u>	(25)
საოპერაციო მოგება		(55,554)
ფინანსური შემოსავალი	<u>13</u>	578,989
ფინანსური ხარჯი	<u>14</u>	(275)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		142,323
მოგება დაბეგვრამდე		665,483
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება/(ზარალი)		665,483
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		665,483

დირექტორის უფლებამოსილი წარმომადგენელი:

/ლიანა მოდებაძე/



მთ.ბუღალტერი

/ელენე უშვანი/




შპს "მეტრა ფროფერტის(Metra Properties)"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	1,209,649	2,904,643	4,114,292
წმინდა მოგება	-	665,483	665,483
გაცემული დივიდენდი	-	(1,739,876)	(1,739,876)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(1,209,449)	-	(1,209,449)
2018 წლის 31 დეკემბერი	200	1,830,250	1,830,450

დირექტორის უფლებამოსილი
წარმომადგენელი:
/ლიანა მოდებამე/



მთ.ბუღალტერი

/ელენე უშხვანი/



სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი



66368157032719

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება
რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190096599



რეგისტრაციის თარიღი

30.01.2019 წ

ნოტარიუსი: ციური ბერიძე

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.

ტელეფონი: 2-23-08-90.

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სანოტარო აქტი

ორიათას ცხრამეტი წლის ოცდაათ იანვარს მე - ნოტარიუს ციური ბერიძეს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი # 68-ში მომმართა: ბატონმა არჩილ გელოვანმა (დაბ.15.12.1974 წელს, პ/ნ 65002010932, რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩა, N 29)

მან წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „მეტრა ფროფერტის (Metra Properties)“ (ს.კ # 405029231) შესახებ, მომზადების თარიღი 17/08/2017 10:08:30 წელს, რეგისტრაციის # B17083982 და განაცხადა, რომ როგორც ამ საზოგადოების დირექტორსა და წარმომადგენლობით უფლებამოსილ პირს, სურს შეადგინოს მინდობილობა რითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ქალბატონებს: ლიანა მოდებაძეს და ნატალია გლინსკაიას .

მისი პირადობა დადგენილია. მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, მინდობილობის და შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მან წაიკითხა მინდობილობა, მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდგომ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას

მინდობილობა

წინამდებარე მინდობილობით, მე, ქვემოთ ხელმომწერი, ბ-ნი არჩილ გელოვანი (პ/ნ 65002010932), როგორც შპს „მეტრა ფროფერტის (Metra Properties)“ (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; საიდენტიფიკაციო კოდი: 405029231) („კომპანია“ ან „საზოგადოება“) დირექტორი, უფლებამოსილებას ვანიჭებ

ქალბატონ ლიანა მოდებაძეს (საქართველოს მოქალაქე, პირადი #59001006592; მის: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. #39ა, ბინა #50) და/ან ქალბატონ ნატალია გლინსკაიას (საქართველოს მოქალაქე, პირადი #01003010159, მის: ქ. თბილისი, ივანე მაჩაბელის ქ. #15); (შემდგომში „რწმუნებულ(ებ)ი“) რათა მათ, ერთობლივად ან ცალ-ცალკე დამოუკიდებლად

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-722 მუხლების (დავალების ხელშეკრულება) შესაბამისად და საფუძველზე, შეასრულონ კანონმდებლობისა და „კომპანიის“ წესდების საფუძველზე „კომპანიის“ დირექტორის უფლებამოსილებაში შემავალი ქმედებები, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

1. იმოქმედოს „კომპანიის“ სახელით და წარმოადგინოს „კომპანიის“ ინტერესები ნებისმიერი სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოს, თანამდებობის პირის, კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ნებისმიერი ბანკის ან/და ფიზიკური პირების წინაშე, „კომპანიასთან“ დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის ირგვლივ;
2. „კომპანიის“ სახელით ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს (მათ შორის წინარე ნასყიდობის, ნასყიდობის, იპოთეკის, ნარდობის/მომსახურების, საბანკო კრედიტის და ა.შ. ხელშეკრულებებს) და წარმოადგინოს კომპანია ნოტარიუსების, სახელმწიფო ან/და

ადგილობრივი დაწესებულებების, მათ შორის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინაშე;

3. „კომპანიის“ სახელით მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებებში ნებისმიერი ხელშეკრულების პირობების თაობაზე, რაც უნდა დაიდოს „კომპანიის“ მიერ თავისი საქმიანობის ფარგლებში.
4. „კომპანიის“ სახელით ხელი მოაწეროს ნებისმიერ განცხადებას, განაცხადს, დოკუმენტს, ხელშეკრულებას ან/და ნებისმიერ სხვა საბუთს.
5. საბანკო დაწესებულებებში აწარმოოს დოკუმენტალური ოპერაციები (მათ შორის: საბანკო გარანტია, აკრედიტივი და ა.შ.), ხელი მოაწეროს დოკუმენტალურ ოპერაციებთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს, უზრუნველყოფის ხელშეკრულებებს, განაცხადებს/განცხადებებს, შეიტანოს მათში ნებისმიერი სახის ცვლილება ან/და დამატება, დამოუკიდებლად, თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს მათი პირობები / შინაარსი, აგრეთვე დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების მიზნით განკარგოს კომპანიის საკუთრებაში არსებული ან/და სამომავლო ფულადი სახსრები;
6. გახსნას, დახუროს, მართოს და განკარგოს „მიმდობის“ კუთვნილი საბანკო ანგარიშები საქართველოს ნებისმიერ ბანკში, მიიღოს ნებისმიერი სახის ცნობები და ამონაწერები საბანკო ანგარიშებიდან, ჩართოს და ისარგებლოს დისტანციური პროდუქტებით და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო ხელშეკრულებას და დოკუმენტს საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის, ასევე მიიღოს პლასტიკური ბარათი და პინკოდი და აწარმოოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია;

ზემოთ განსაზღვრული დავალებების გათვალისწინებით, რწმუნებული საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად, გულდასმით და მაღალი პროფესიონალიზმის გრძნობით. ყოველი საქმის განხორციელებისას და გადაწყვეტილების მიღებისას, რწმუნებულმა უნდა იმოქმედოს კომპანიის ინტერესების გათვალისწინებით და იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.

რწმუნებული არ არის უფლებამოსილი ნაწილობრივ ან სრულად გადაანდოს ზემოთ ჩამოთვლილი უფლებამოსილებანი ნებისმიერ მესამე პირს.

წინამდებარე მინდობილობა ძალაშია და მოქმედებს 2022 წლის 30 იანვრამდე მოქმედების ვადით;

მინდობილობა ხელმოწერილია 6 (ექვს) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი მიეცა ხელზე მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება # 507 29.12.2011წ. სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” მუხლი 31-10 ლარი, 2 ლარი (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ მუხლი 39 პ.1), დღგ -1,80 ლარი საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, სულ 13,80 ლარი.



ციური ბერიძე

Handwritten signature/initials in blue ink.

Handwritten text "11/10/11" in blue ink.

Handwritten signature/initials in blue ink.

Handwritten signature/initials in blue ink.

Faint, illegible text from the reverse side of the paper, appearing as bleed-through.

